

Milli M

Art. Nr. 1020

რძის შემცველი - საკვები დანამატი ხბორებისთვის

შემადგენლობა:

ცხიმგაცილილი რძე, შრატის ფხვნილი, მცენარეული ზეთი/-ცხიმი (პალმის ზეთი, ქოქოსის ზეთი), ხორბლის ჰიდროლიზირებული ცილა, რძის შრატის ფხვნილი, ხორბლის ფქვილი, გლუკოზა, ცხიმგაცილილი იმუნოგლობულინით მდიდარი ხსენი.

ხარისხობრივი მახასიათებლები:

22,0% ნედლი ცილა, 17,0% ნედლი ცხიმი, 8,3% ნედლი ნაცარი, 0,1% ნედლი უჯრედანა, 0,9% ცალციუმი, 0,7% ფოსფორი, 0,8% ნატრიუმი 1,8% ლიზინი.

დანამატები/კვ:

კვებითი დანამატები: 50.000 i.E. ვიტამინ A (3a672a), 5.000 i.E. ვიტამინ D3 (E 671), 300 მგ ვიტამინ E / ალფა-ტოკოფეროლაცეტატი (3a700), 4 მგ ვიტამინ K3, 4 მგ ვიტამინ B1, 4 მგ ვიტამინ B2, 2 მგ ვიტამინ B6 B6 / პიროდოქსინ-ჰიდროქლორიდი (3a831), 20 µg ვიტამინი B12, 200მგ ვიტამინი C, 10 მგ კალციუმ-D-პანტოთენატი (3a841), 20 მგ ნიაცინამიდი (3a315), 1 მგ ფოლის მჟავა (3a316), 200 µg ბიოტინი, 200 მგ ქოლინქლორიდი (3a890), 100 მგ რკინა (E 1), აქედან 50 მგ როგორც გლიცინ - რკინის ჰელატ ჰიდრატი და 50 მგ როგორც რკინის-(II)-სულფატ მონოჰიდრატი, 70 მგ თუთია(E 6), აქედან 35 მგ როგორც გლიცინ-თუთიის ჩელატ - ჰიდრატი და 35 მგ როგორც თუთიის სულფატ მონოჰიდრატი, 30 მგ მანგანუმი (E5), აქედან 15 მგ როგორც გლიცინ-მანგანუმის ჩელატი-ჰიდრატი და 15 მგ როგორც მანგანუმის-(II)-სულფატ მონოჰიდრატი, 7 მგ სპილენძი (E 4), აქედან 3,5 მგ როგორც გლიცინ-სპილენძის ჰიდრატი და 3,5 მგ როგორც სპილენძის-(II)-სულფატ პენტაჰიდრატი, 3 მგ იოდი (E2) როგორც გაუწყლოებული კალციუმის იოდატი, 0,3 მგ სელენი (E 8) როგორც ნატრიუმსელენიტი, 8.000 მგ L-ლიზინ-მონოჰიდროქლორიდი ტექნიკურად სუფთა (N.r.3.2.3)

ტექნოლოგიური დანამატები: კალციუმის ფორმიატი (E238)

ზოოტექნიკური დანამატები: 8,0x10⁸ KBE რძემჟავა ბაქტერიები Enterococcus faecium M74

Milli M-ის მოხმარების წესი:

ხბოს დაბადებიდან ხსენით გამოკვების შემდგომ, შვიდი დღის შემდეგ გადაგვყავს Milli M-ზე.

1 კგ რძის ფხვნილი ამზადებს 8 ლიტრ რძეს:

გახსნის ტემპერატურა: 40 – 42 °C

სასმელი ტემპერატურა: 36-38 °C

Milli M ეძლევა ხბოს დღის განმავლობაში 6 ლიტრი. დილა-სადამოს 3-3 ლიტრი.

მაღალპროდუქტიული ხბორების შემთხვევაში, შესაძლოა მივცეთ დღის განმავლობაში 8 ლიტრი.

თუ გსურთ ხბო გაზარდოთ რძის შემცველით, მაშინ იგი დაბადებისთანავე უნდა მოაცილოთ დედას. განაცალკევოთ და 3 საათის განმავლობაში მიეცით მოწველილი ხსენი. ხსენის შემადგენლობაში არსებული იმუნოგლობულინი აუცილებელია ახალდაბადებული ხბოს იმუნიტეტისთვის.

შემდეგ კი ნელნელა ვაჩვენებთ რძის შემცველს:

დაბადებიდან მე-5 დღეს 2,5 ლ ძროხის რძეში ვურევთ 2,5 ლ Milli M-ით დამზადებულ რძეს

დაბადებიდან მე-6 დღეს 1,5 ლ ძროხის რძეში ვურევთ 3,5 ლ Milli M-ით დამზადებულ რძეს

დაბადებიდან მე-7 დღეს 0,5 ლ ძროხის რძეში ვურევთ 4 ლ Milli M-ით დამზადებულ რძეს

სასურველი შედეგის მისაღწევად აუცილებელია ყურადღებით დავიცვათ მოხმარების წესები:

Milli M-ის ფხვნილს ვათავსებთ საწოვარიან ვედროში და ვასხამთ 40-42°C ტემპერატურის წყალს, ვურევთ (მორევა უკეთესია შემრევით, რათა სრულად გაიხსნას რძის შემცველი წყალში), შემდგომ ვაგრილებთ სხეულის ტემპერატურამდე 36-38°C - მდე. საწოვარიან ვედროს ვამაგრებთ ბუნებრივ პოზიციაში, როგორც დედისგან წოვს ხბო. ანუ, ზემოდან ქვემოთ. თუ ამ წესს არ დავიცავთ და ვედროს პირდაპირ ძირს მოვათავსებთ, მივიღებთ არასასურველ შედეგს. ქვემოდან ზემოთ კვების შემთხვევაში რძე ხვდება ხბოს კუჭის იმ ნაწილში, საიდანაც შეითვისებს წყალს. ამის შედეგად ხბოს ორგანიზმი რძე ვერ მუშავდება, წარმოიქმნება არასასურველი ბაქტერიები და გარდაუვალია კუჭის აშლილობა. გართულებების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია საწოვარიანი ვედრო დამაგრდეს ბუნებრივ პოზიციაში. საწოვარას არ უნდა ჰქონდეს მსხვილი ხვრელი. დიდი რაოდენობით რძის კუჭში მოხვედრის შემთხვევაში, ვერ ესწრება საკვების შეთვისება და 70% მოუნელებელი რჩება. ზემოაღნიშნული წესები მარტივია, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი.

Mill M-თან ერთად ხბო უნდა იკვებებოდეს მარცვლეულით. ამ პერიოდში ხბოს საშუალოდ სჭირდება 120 კგ მარცვლეული, 40 კგ პრესტარტერი - Meggi 35 და მცირე რაოდენობით საქონლის საკვები (ბალახი, თივა, სილოსი და ა.შ.).

მზა საკვები მზადდება 70% მარცვლეულისა და 30% Meggi 35-ით. როდესაც ხბო აღნიშნულ მზა საკვებს შეჭამს 1,5 კგ ოდენობით, მაშინ უნდა შეწყდეს Milli M-ით კვება. ეს მიგვანიშნებს, რომ ხბო უკვე გაიზარდა და მზად არის ჩვეულებრივ საკვებზე გადასაყვანად.

ზემოხსენებული მოხმარების წესების დაცვის შემთხვევაში გარანტირებულია საქონლის ჯანმრთელობა, სწრაფი მატება და იოლი გადასვლა ჩვეულებრივ საკვებზე.

Milli M მოსახერხებელია ასევე ავტომატური კვების შემთხვევაშიც.